დიდი ანგარიშით

ვვს (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი _ 5:1 (0:1).
თბილისი. ლ. პ. ბერიას სახ. “დინამოს” სტადიონი. 4 აგვისტო.
მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

თამაშის მე-2 წუთზე თბილისელთა მძაფრი კომბინაცია და საჯარიმო მოედანში სწრაფად შეჭრილი ბ. პაიჭაძე ძლიერი გარტყმით ათავსებს ბურთს მოსკოველთა კარში, რომელსაც აკიმოვი იცავს.

ასე, ანგარიშით 1:0 მთავრდება მატჩის პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმის მე-2 წუთზე მეკარე მარღანიასა და მცველთა შეუთანხმებელი და უსუსური მოქმედების გამო ანისიმოვს (ვვს) თავური გარტყმით იოლი ბურთი გააქვს. 1:1.

მოსკოველები ყოველმხრივ სჯობნიან მასპინძელთ _ ბურთის სწრაფად დამუშავება-გადაცემაში, მონდომებაში, სისწრაფეში, იერიშთა ორგანიზებულებასა და შეტევის სიმწვავეში.

ერთადერთი მოედანზე ეს ბ. პაიჭაძე იყო, რომელიც ინდივიდუალურადაც ძლიერად თამაშობდა და კარგ კომბინაციებსაც ქმნიდა. როცა ანგარიში 2:1 იყო სტუმრების სასარგებლოდ ბ. პაიჭაძე... ვარდიმიადიმ შეცვალა (?!).

შემდგომში შუვალოვმა და ობოტოვმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, გარიშვილმა კი ეს ანგარიში მოსკოველთა სასარგებლოდ გაზარდა (გოლი საკუთარ კარში) და მატჩი დამთავრდა დიდი ანგარიშით 5:1 სტუმრების გამარჯვებით.

ძალზე სუსტად ჩაატარეს შეხვედრის მეორე ნახევარი მარღანიამ, ძიაბშპამ, პანიუკოვმა.

თბილისის “დინამოს” გუნდმა ამ წაგებას სათანადო ანალიზი უნდა გაუკეთოს.

“ლელო”, 6 აგვისტო 1950 წ.